ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი 18 ივნისი 1915 წ.

სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნ[illegible] შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 107 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 107

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი
№ 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

ტელეფონი
№ 76.

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

თეიმურაზ (იგივე დავით) გრიგოლის ძე, ნინო გრიგოლის ასული, გრიგოლი და ივანე თეიმურაზის ძენი აბაშიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ ხუთშაბათს, 18 ივნისს, საფიჩხიის სული-წმიდის მოფენის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველი ძვირფასი შვილის, ხოლო უკანასკნელის უსაყვარლესი ძმის.

ალექსანდრე (სანდრო) აბაშიძის

სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდი დაიწყება დილის ცხრა საათზე. 1—1—481.

ბათომის ქალაქის თავი

ბათომიდან გასულ ამომრჩევლებთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მოქალაქეთა ამომრჩევლებს, რომელნიც შეტანილი არიან საბოლოოთ შედგენილ სიაში და გასული არიან ბათომიდან, უფლება ეძლევათ დაუბრკოლებლივ დაბრუნდენ ბათომში საარჩევნო კრებაზე დასასწრებლათ 21 ამა ივნისს, ხოლო ქალაქში შესასვლელათ ნებართვა უნდა გამოეთხოვოს მიხეილის ციხის კომენდანტს პირდაპირ, ან ბათომის ქალაქის თვითმართველობის საშუალებით.

3—3

კერძო პროფესიონალური სასწავლებელი, ოთხკლასიანი საქალებო

პროგიმნაზიის კურსით ევგენია, კორძაიასი

პირველ თიბათვიდან მოთავსებული იქნება ოლდენბურგის ქუჩაზე, დავით აბდუშელიშვილის სახლში, **სადაც მიიღება თხოვნები ყოველ დღე.** გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან, ხოლო სწავლა პირველ ენკენისთვიდან.

3—1—479.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამობით. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი & ტრუფანოვა.

ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. **ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.**

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

საზაფხულო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 18 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება

მეორე სერია მეორე სერია

ომი და მშვიდობიანობა.

სრული მხატვრული ილიუსტრაცია **ლ. ტოლსტოის** პოემისა, ხუთ ნაწილათ. დადგმულია ვ. გარდინისა და ი. პროტოზანოვის ხელმძღვანელობით. ნაწ. 1. სამშობლოს ომის წინ. ნაწ. 2. თ. ან. ვოლკონსკი. ნაწ. 3. მომავალი მასსონი. ნაწ. 4. ბრძოლა აუსტერლიცთან. ნაწ. 5 ტილზიტის ზავი. მონაწილეობენ სახელოვანი ძალები: ო. პრეობრაჟენსკაია, ე. უვაროვა, შილინგი, ვოვშეკი და სხ.

საზამთრო შენობაში.

ხუთშაბათიდან, 18 ივნისიდან, ახალი პროგრამა:

ჯადო ქვა.
დრამა 3 ნაწილათ.
მოქმედება სწარმოებს ინდოეთში და ინგლისში.

სამხედრო ქრონიკა.
სკობელევის კომიტეტის გამოცემა № 14. „რადიუმის“ მონოპოლია.
ხონთქარი ერთი საათით.
მხიარული კომედია 2 ნაწ.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სურათი ბიოსი:

უღელი ლურჯა.

აპუხტინის ცნობილი ლექსიდან. დრამა 4 ნაწ. ეპილოგით.
მონაწილეობენ ცნობილი არტისტები:
რინდინისა და მოზჟუხინი.

ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე. თ.

რედაქციაში მოიტანეს სხვადასხვა საბუთები სტუდენტ **პაკენტი ოღლისა.** ეს საბუთები **ნაპოვნია** სამტრედიიდან თფილისისაკენ მიმავალ სახალხო მატარებელში. პატრონს შეუძლია მოიკითხოს „**სამშობლოს**) რედაქციაში. 10—1 უფ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია

კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი. თვ.

ომის დღიური.

კავკასიის ასპარეზზე ოსმალონი მოქმედებას განაგრძობენ. ხარტხის სამხრეთით მათ იერიში მოიტანეს, მაგრამ აქ დამარცხდენ. დამარცხდენ აგრეთვე გეიდაგის მაღლობზე, აქედან ოსმალონი,სანგრებიდან დასავლეთისკენ განდევნეს. 14 ივნისს ოსმალონი შეეცადენ დაკარგულ პოზიციის უკანვე დაბრუნებას, მაგრამ სულ მეორედ დამარცხდენ.

შავლის რაიონში მტერს უმნიშვნელო იერიშები მოაქვს. სიწყნარეა აგრეთვე ნემანის, ნარევის რაიონში და ვისლის მარცხენა ნაპირზე. სამაგიეროთ მოქმედება განხორციელდა ვეპრჟისა და ბუგის სათავეებს შუა. აქ ტომაშოვთან არიერგარდების პოზიციაზე რუსის ჯარმა მოიგერა მტრის რამდენიმე იერიში. დნესტრზე მტერმა თავისი რაზმები ახალი ჯარით შეავსო და უკანდახეული რუსის ჯარის შესუსტებას ლამობდა, მაგრამ ვერავითარ მიზანს ვერ მიაღწია.

ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

კავკასიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 16 ივნ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გზით სროლაა. ოლთისის გზით ოსმალონი შეეცადენ ხარტხის სამხრეთით იერიშის მოტანას, აქ ისინი ჩვენ სანგრებს 50 ნაბიჯით მოუახლოვდენ, მაგრამ მტერი დიდის ზიანით უკუვაქციეთ. გეიდაგის მთიდან ოსმალონი გავდენეთ მათი სანგრებიდან და ვაიძულეთ დასავლეთისკენ უკან დაეხიათ. 14 ივნ. ოსმალოთა ერთი პოლკი თავისი არტილერიით უშედეგოთ სცდილობდა გეიდაგზე იერიშის მოტანას, მაგრამ დიდის ზიანით უკან დაიხია.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 16 ივნ. მთავარ სარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში მოვიგერეთ მტრის იერიშები. ნემანისა და ნარევის ფრონტზე და ვისლის მარცხენა ნაპირზე სიწყნარეა. ვეპრჟისა და ბუგის სათავეების შუა მტერი ცხარე შეტევას განაგრძობს, 14-სა და 15 ივნ. ტომაშოვის რაიონში ჩვენ მოვიგერეთ რამდენიმე იერიში, დნესტრის რაიონში მტრის ჯარი ბუკაჩევცი—ნარტინოვის ფრონტზე სცდილობდა გნილა ლიპისკენ უკან დახეულ ჩვენ რაზმის შესუსტებას, მაგრამ მტერი დიდათ დაზიანდა და მიზანს ვერ მიაღწია.

პეტროგრადი. 16 ივნ. სამხედრო უწყების მიმოხილვა 16 ივნისიდან. მურა- [illegible] დათან წინ მიიწევს. ვექშნის სამხრეთით ჩვენმა ცხენოსანთა რაზმმა მტრის რაზმს შეუტია, რომელიც ამ რაიონში მოქმედებდა. ამ შეტევის დროს მტრის ბატარეია ხელიდან ხელში გადადიოდა. მოსულმა გერმანელთა მაშველმა რაზმმა შესძლო გაფუჭებული იარაღების წაღება. ჩვენმა ყოჩაღებმა წამოიღეს 3 ყუთი, ხუთი საველე ქუხნა, და სანგრების სათხრელი მანქანა, წამოიყვანეს მრავალი ტყვე. ამ რაიონის დანარჩენ ადგილებში მხოლოთ სროლა იყო. ნემანის მარცხენა ნაპირზე გერმანელები სცდილობდენ ზოგიერთ ადგილას იერიშით მოსვლას, იერიში ყველგან მოვიგერიეთ, ბრიშაილის მახლობლათ მტერი მიუშვით ჩვენ სანგრებამდის 200 ნაბიჯით, შემდეგ ცეცხლი დაუშინეთ და მტერი გაიქცა. აქ ადგილზე მტერმა დასტოვა 200-მდე მოკლული. ოსოვეცის ფრონტზე ჩვენმა მეციხოვნე არტილერიამ დაანგრია გერმანელების ყველა სამუშაო, რომელსაც მტერი აწარმოებდა ბიალოშევის ტყის მახლობლათ. ბობრსა და ორჟიცას შუა მტრის იერიში მოვიგერიეთ კოპაჩეკთან, მაგრამ გერმანელთა ერთმა როტამ მაინც შესძლო ამ სოფელში გაჩერება, მაგრამ ჩვენმა რაზმა ეს როტა ხელჩართული ბრძოლის შემდეგ თითქმის ერთიანათ ამოჟლიტა. ამ რაიონში დავატყვევეთ ორი აფიცერი და 150 მდე ჯარისკაცი. ორჟიცას მარჯვენა ნაპირზე იედნოროჟცთან დიდი ბრძოლა იყო, რომელსაც ჩვენი ჯარი ბრწყინვალეთ აწარმოებდა და საუცხოოთ დამთავრდა. აქ ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება. ჩვენ ვიხელთეთ ტყვიის მტყორცნელები მრავალი პატრონებით. ვისლის მარცხენა ნაპირზე პილიცის ჩრდილოეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ იანუვთან. მტერი დიდათ დაზიანდა. მარტო ერთ ადგილას დავასაფლავეთ 150 მტრის გვამი.

14 ივნისს, ღამით მტერმა დიდის ძალით განაახლა გლინიანთან თავისი იერიშები. უმეტესი ნაწილი ჩვენმა ცეცხლმა მოსპო, ასე რომ ტყვეთ ცოტა ჩაგვივარდა ხელში. რადომთან ჩვენმა არტილერიამ ჩამოაგდო მტრის ჰაეროპლანი, რომელიც მახლობელ ტყეში მიმალულმა აფიცრებმა დასწვეს. სანის და ტანევის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. „სამშობლოს“ რედაქციის კანტორა მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერლებს, ვისაც სრული ნახევარი წლის გაზეთის დასაკვეთი ფული არ შემოუტანია, წარმოადგინოს კანტორაში 1 ივლისამდი, წინააღმდეგ შემთხვევაში 1 ივლისიდან გაზეთის გზავნა მოესპობა.

მარცხენა ნაპირზე ავსტრიელები შეეცადენ იერიშის მიტანას, მაგრამ ყველგან დამარცხდენ. იარჩოვის სამხრეთით სასტიკი ბრძოლაა.

პარიზი. 15 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღემ შედარებით წყნარად ჩაიარა. სუშეს ჩრდილოეთით, ნევილთან როტკვლენკთან არტილერიის სროლა იყო. უაზისა და ენს შუა ჩვენთვის სახეირო არტილერიის ბრძოლა იყო. არგონში, მაასის მარჯვენა ნაპირზე და კალონის სანგრებთან მტერს გუშინდელი დამარცხების შემდეგ იერიში აღარ მოუტანია. 14 ივნისს დილით ჩვენმა ერთმა ჰაეროპლანმა ფრიდრიხს-ჰაფენში 8 ყუმბარა ჩამოყარა. ავიატორს მოტორი გაუჩერდა და იძულებული გახდა შვეიცარიის ტერიტორიაზე დაშვებულიყო.

იტალიის ასპარეზი.

რომი. 15 ივნისი. მთელ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. კარნიაში დიდის გასაჭირით მაღლობზე ატანილი არტილერიამ ესროლა მტრის ბანაკს პალპიკოლოს ფერდობზე. მთელ ფრონტზე ცუდი ტაროსი სდგას. მტრის ჰაეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს ჩვენგან დაკავებულ ადგილებში, მაგრამ მათი შედეგი ფრიად უმნიშვნელოა.

სერბიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 16 ივნისი. სერბიის ფრონტზე ავსტრიელების ჯარის შესავსებათ გერმანელებმა ორი დივიზია გაგზავნეს, მაგრამ გენ. პინცენგენის ჯარის კარავკოსთან დამარცხების გამო ეს ორი დივიზია, რომელიც უკვე გზაში იმყოფებოდა, ისევ უკან დააბრუნეს დნესტრისკენ, სადაც მათ 11-სა და 14 ივნისს ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს ჟურავნოს რაიონში.

სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს მოწვევა.

პეტროგრადი. 17 ივნისი. ოფიციალური. უმაღლესი რესკრიპტი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სტატს-სეკრეტარის გორემიკინის სახელზე.

ივანე ლონგინოზის ძევ! ჩემი სამშობლოს ყოველი კუთხიდან ჩემამდი მიმართვა მომდის, რომელშიდაც გამოხატულია რუსეთის ერის მისწრაფება, ყოველი ღონე იხმარონ ჯარის სურსათის მიწო- [illegible] ერთსულოვნებით მე დარწმუნებული ვარ ჩვენი მომავალი მერმისის შესახებ. ომი მოითხოვს ახალს ძალებს მრავალ დაბრკოლებათა თავიდან ასაცდენათ. ჩვენ გულში მტკიცდება რწმენა, რომ ბრძოლა განვაგრძოთ რუსის ჯარის სრულ გამარჯვებამდი. მტერი უნდა დამარცხდეს, უამისოდ ზავი შეუძლებელია. რუსეთის სიძლიერის მტკიცე რწმენით მე ველი მთავრობისა, საზოგადოებრივისა, რუსეთის წარმოებისა და სამშობლოს ყველა ერთგული შვილებისაგან განურჩევლათ მათი შეხედულებისა და მდგომარეობისა ერთსულოვან მუშაობას ჩვენი მამაცი ჯარის საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. ამიერიდან ასეთ საერთო საეროვნო მიზნისთვის უნდა მოვიკრიფოთ ძალები შეერთებული და უძლეველი რუსეთისა. მოვიწვიეთ რა კერძო თათბირი ჯარის სურსათის მხრივ უზრუნველსაყოფათ, მე ამასთანავე საჭიროთ მიმაჩნია, დავაჩქარო კანონმდებელ დაწესებულებათა მოწვევაც, რომ ამითი მოვისმინო რუსეთის ხმა. გადავწყვიტეთ რა სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს მოწვევა არა უგვიანეს ამა წლის აგვისტოისა, ვავალებ მინისტრთა საბჭოს ჩემი ხელმძღვანელობით შეიმუშაოს კანონ-პროექტი, რომელიც გამოწვეულია სამხედრო დროის საჭიროებით. ნამდვილზე სათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნიკოლოზი“. 1914 წ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ლონდონი. გაზეთ. „ვესტმინსტერ“-ში მოთავსებულია სტატია გერმანელების პროპაგანდის შესახებ.

არასოდეს, ამბობს გაზეთი, გერმანელების პროპაგანდა ასეთი ძლიერი არა ყოფილა, როგორც ახლანდელს დროში და ისიც, განსაკუთრებით, შვეციაში.

გერმანიის პროპაგანდისტები სცდილობენ შკოლების მომხრობას და არწმუნებენ მათ, რომ თუ გერმანიამ გაიმარჯვა, ფინლანდიას დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოაცხადებენ. და რადგან შვეციისა და რუსეთის შუა მომავალში ახალი სახელმწიფო გაჩნდება, შვედებს სრულიად [illegible]

„ბირჟ. ვედ“.

სვენგელინს ახალი თანამოაზრე გამოუჩნდა ვინმე ადრიან მოლინი, უფროსი რედაქტორი ერთი შვედურ ჟურნალისა; იგი არწმუნებს შვეციის ხალხს, რომ ნეიტრალიტეტის დაცვით მხოლოდ ზარალობს შვეცია, მაშინ როდესაც რუსეთი ყოველი მხრით სარგებლობსო. რუსეთი ღებულობს ტრანზიტით შვეციიდან ყველაფერს, რაც კი მისთვის საჭიროა ომისათვის, შვეციას კი სამაგიეროთ არავითარ ჯილდოს არ აძლევსო.

შვეციის მთავრობა, რომ თავის მოვალეობის სიმაღლეზე იდგეს, ამბობს ადრიან მოლინი, ის ერთგვარ პირობას დაუყენებდა რუსეთს და მოითხოვდა ნეიტრალიტეტის კომპენსაციას. თუ რომ შვეციის მთავრობა ასეთს პოლიტიკას კვლავ განაგრძობს, ის საფრთხეში ჩააგდებს თვით სახელმწიფოს დამოუკიდებლობასაო. ბრმები არიან ისინი, რომლებიც ამბობენ, რომ შვეცია დიდს ეკონომიურს წარმატებას მოიპოვებს, როცა გერმანიის ვაჭრობა რუსის ბაზრიდან განიდევნება ომის დასრულების შემდეგ.

პოლიტიკურათ კი ნეიტრალიტეტი შემოაცლის შვეციას ნამდვილ მეგობრებს და დასტოვებს გარიყულ მდგომარეობაშიო.

რომის „აჟანზია ნაზ.“-მა სარწმუნო წყაროდან მიიღო რამდენიმე ცნობა იმ შეკრებულობისა, რომელიც არსებობდა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრი სონინოსა და სამთა შეთანხმებულ სახელმწიფოს შუა. 26 აპრილს 1915 წ., ე. ი. ერთი თვის წინათ იტალიის ომში ჩარევისა. ამ ხელშეკრულობას მხედველობაში აქვს ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთის საკითხი. ხელშეკრულობის მეორე მუხლი ეხება ადრიატიული ზღვის მოწყობას და კერძოთ სერბიის ამ ზღვაში გამოსვლის საკითხს. ეს მუხლი სპობს ყოველგვარ უთანხმოებას მომავალში სერბიისა და იტალიის შუა.

რაც შეეხება მცირე აზიას ამ საკითხში სამთა შეთანხმებამ და იტალიამ გადასწყვიტეს მომავალში შეთანხმდენ თანახმათ ოსმალეთის ომის შედეგისა.

„ბირ. ვედ.“

რომის პაპის რეზიდენციის ისპანიაში გადმოტანა.

იმპერატორმა ფრანც იოსებმა მიიღო აუდიენციაზე ისპანიის ელჩი. ელჩმა გადასცა იმპერატორს წერილი მეფე ალფონსისა.. ვენის დიპლომატიური წრის აზრით ეს აუდიენცია შეერთებულია ისპანიის კათოლიკეთა მისწრაფებასთან, რომელნიც ცდილობენ პაპის რეზიდენციის ისპანიაში გადმოტანას.

იტალიის ომში ჩარევის შემდეგ ორჯერ გავრცელდა ხმა პაპის ბენედიქტე XV-ის გადადგომაზე.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით მეფე ალფონსმა პაპის განკარგულების ქვეშ ძლიარა ცნობილი კოშკი „ესკურიალი“, ფილიპე მე II-რის მიერ აშენებული მე-16 საუკუნეში. კოშკთან არსებობს მონასტერიც. ეს ისტორიული კოშკი დაითვლის რამდენიმე ათას დარბაზს და თავისუფლათ დაიტევს ყველა ვატიკანის დაწესებულებას. პაპის რეზიდენციის ისპანიაში გადატანას სასტიკათ წინა აღუდგა რომის კურიის სტატ-სეკრეტარი გასპარი, პაპის დღევანდელი პოლიტიკის ხელმძღვანელი.

პაპა ბენედიქტე XV მადლობით უარი ჰყო მეფე ალფონსის წინადადება.

„ბირ. ვედ.“.

ლოზანაში გარდაიცვალა ობერ-ეგერმეისტერი მისი უდიდებულესობის სასახლისა თ-დი ს. მ. გოლიცინი. „ნ. ვრ.“.

ალენშტეინიდან იტყობინებიან, რომ სამხედრო სასამართლომ გერმანიაში, მარიანა ლიპონსკისას მიუსაჯა 10 წ. ციხეში დაპატიმრება რუს მუშების გაქცევის ხელის შეწყობისათვის. „ნ. ვრ.“.

ნორვეგიის გემი „ვენიუსი“ ბერგენიდან ნიუკასტლისკენ გამოსული გერმანელების წყალ-ქვეშა ნავმა დაატყვევა. ნავის უფროსმა ბრძანება გასცა გემიდან ტვირთი გადაეყარათ. ტვირთი შესდგებოდა თევზებისაგან და რამდენიმე ბოჭკა ერბოსაგან. „ნ. ვრ.“

ამსტერდამიდან იუწყებიან, რომ (კაიზერის) გერმანიის იმპერატორის უნცროსმა შვილმა დაამთავრა ავიაციის სკოლა იოჰანისტალში და ჩაეწერა ავიატორთა რიცხვში ფლანდრიის ფრონტზე. პრინცი გახდა მფრინავი კაიზერის სურვილით.

„ნ. ვრ.

ინგლისის გემი „კარლსბრუკ“-ი პურით დატვირთული გერმანელების წყალ-ქვეშა ნავმა კინინერდ-ხედასთან დაღუპა. საახალშენო საკანონმდებლო კრებამ ინდიაში დაადგინა სავალდებულო სამხედრო გეგმა ყველა ინგლისელისათვის.

გაზეთ „დენ“-ში მოთავსებულია ზოგიერთი ადგილი ბელგიის მინისტრ-სოციალისტის ვანდერველდის წერილისა.

ბ. ვანდერველდის აზრით, ომი მანამ უნდა გაგრძელდეს, ვიდრე გერმანიას არ დაამარცხებენ. ეს ომი, ამბობს იგი, წმინდა ომია, რადგან ჩვენ ვიბრძვით თავის უფლებისა და ცივილიზაციისათვის. ჩვენ ვიბრძვით ხალხის უფლებისათვის. ბელგია არ ომობს ტერიტორიის მომატებისათვის, მხოლოდ ლუქსემბურგის განსაკუთრებული მდებარეობის გამო მისი ბელგიის შემოერთება მსოფლიო პროგრესის მიხედვით სასარგებლო იქნება, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, თუ რომ ასეთს შეერთებას ისურვებენ თვით [illegible]რებნი“.

მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ა. დ. სამარინმა აუწყა წითელი ჯვრის მთავარ გამგეობას, რომ მან მოაწყო მოსკოვში საწამლავ გაზებთან საბრძოლველი საშვალება.

საზღვარ-გარეთ.

გაზეთ „დენ“ს მოჰყავს ჟაკ კურსანჟის აზრი გამოთქმული ჟურნალ „კორესპონდენტ“ში: გერმანიის მომხრეები, სწერს იგი, ყველაზე მეტია კოპენჰაგენში. დანიის მწერლები თითქმის ყველა გერმანელებია.

დანიის აფიცრები ომის შემდეგ თანდათან გერმანიის თაყვანისმცემელი ხდებიან. მათ ძლიერ მოსწონთ გერმანიის ორგანიზაცია და პრუსიის აფიცრობა მათთვის იდეალი ხდება.

დანიის არისტოკრატია დიდი თაყვანისმცემელია გერმანელების.

რაც შეეხება პოლიტიკურ წრეს სამთა შეთანხმების მომხრეებს უფრო მემარჯვენეებში ნახავთ, ვიდრე მემარცხენეებსა და სოციალისტებში.

დღევანდელი რადიკალური მთავრობა გერმანელების მომხრეა. „დენი“.

რუსეთის ქრონიკა.

მოსკოვის ქალაქის უფროსის გენ. მაიორის ადრიანოვის მაგიერათ დაინიშნება როსტოვის ქალაქის უფროსი გენ. მაიორი კლიმოვიჩი.

12 ივისს, იტალიის ელჩმა მარკიზ კარლოტიმ საუზმეზე მიიწვია პეტროგრადში მყოფი იტალიის სამხედრო მისსია. უკანასკნელმა ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი და სამხედრო მინისტრი **სუხომლინოვი.**

გალიციიდან ყველა წმინდა ნაწილები რუსეთში გადმოიტანეს.

ბრძოლა გერმანელთა წინააღმდეგ კომერციულ ასპარეზზე.

(დასასრული იხ. „სამშობ.“ № 106.)

საგარეო ვაჭრობაში საფრანგეთის უკან ჩამორჩენასა და მის უმწეობას ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით გერმანიის ვაჭრობის საოცარ ზრდას არა თუ საფრანგეთთან, არამედ ინგლისთანაც შედარებით გვისურათებს შემდეგი სტატისტიკური ცხრილი.

შემდეგ წლებში:	გერმანიიდან შეუტანიათ რუსეთში	საფრან. შეუტანიათ რუსეთში:
1901—1905 წ.	35.8 %	4.3 %
1906—1910 „	39.5 %	4.5 %
1911—„ — „	42.0 %	4.9 %

წერილი კიევიდან*).

(ამონაკვნესი).

დადგა გაზაფხული...

ღმერთო ჩემო! როგორ აფუსფუსდა აქაური ქართველობა... გაზაფხულის პირველი მაცოცხლებელი მზის სხივები აბა ვის არ აფუსფუსებს. ვის არ ჩასწვდება მისი ცხოველ-მყოფელი ძალა...

იგი ხომ ახალი იმედებით მოსავს ყოველ ახალგაზრდას. იგი ხომ ანახლებს გრძნობა გონებას, უქარვებს კაცს ვარამს და დარდსა, აყუჩებს გულის იარას, მწარე სინამდვილით გამოწვეულს, აფრთოვანებს სულს ყმაწვილური გატაცებით... ოცნებას გიჟური ლტოლვილებით, მაგრამ ქართველებზე, როგორც აღმოსავლეთის ბუნებისა და აღმოსავლეთის ტემპერამენტის შვილებზე, მაინც, მთელი თავისი დამათრობელი ნექტარით მოქმედებს იგი. ჰოდა თუ ეს ასეა, საზოგადოთ ქართველობაზე, რაღა გასაკვირველია, რომ აქ ცივი ჩრდილოეთის ცის ქვეშ მოქცეული ივერიის შვილნი ამას დღეს უფრო მეტათ განიცდიან, ვიდრე ოდესმე.

კიევის სილამაზე ხომ კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ გრძნობის გაღვიძებას.

შეიძლება ეს ასე არ იყოს რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში, მაგრამ კიევი ამ მხრივ გამონაკლისათ უნდა ჩაითვალოს.

მართლაც და რა ლამაზია, რა წარმტაცი დღეს გაზაფხულის პირველ ხანებში უკრაინას დედა ქალაქი!..

ამწვანდა არე-მარე, აყვავდა მიდამო. ხავერდოვანი ბალახით მოიფინა ბაღები. „ტყემ მოისხა ფოთოლი“, ტყე სასიამოთ აშრიალდა ქუჩის ორსავე მხარეზე კოხტათ ჩამწკრივებული ალვის ხეები მწვანე ტანთსაცმელით შეიმოსა. მდინარემ, დიდმა მდინარემ მძიმე ყინული შემოიძარცვა, ნაფლეთებათ აქცია იგი თავის ტალღათა ორომ ტრიალში გაათამაშა; ნაცვლათ კი, სუბუქი, ზურმუხტოვანი მანტიით შემოიქარგა გარემო.

ადიდებული დნეპრი ზარმაცათ მიიზლაზნება შავი ზღვისაკენ. იგი მთლათ გვირგვინს ადგამს კიევის სილამაზეს. როგორც მცხოვრებლები გადმოგვცემენ და აქაური გაზეთიც აღნიშნავს, დღეს უფრო მომხიბლელია დნეპრი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ისე, როგორც წელს, იშვიათად მოუმატია თურმე მას. ჩერნიგოვის გუბერნიის მთელი ერთი ნაწილი წყალქვეშაა მოქცეული; თვით ქალაქის დასავლეთი ნაწილი, პოდოლი მორევშია შეცურებული; ქუჩებში მიმოსვლა ნავებით სწარმოებს. მაგრამ ყველა ეს ბოროტება გავიწყდება ადამიანს, როცა მზის მიწურვისას ვლადიმერის მაღლობზე დგეხარ (ეს მაღლობი ქალაქის მხრითაა დნეპრის კიდეზე ამართული) და თვალს ადევნებს მის ზვირთთა გროვას. . შენ წინ მთელს სივრცეზე გადაშლილია მომჯადოებელი სურათი და სურათი იგი მთელ ზღვას წარმოადგენს, რომლის ზედაპირზეც დიდ ორთქმავალთა და პატარა ნავებთ სრბოლვა ერთი მეორეს ეჯიბრება.

გიპყრობს დნეპრის ეგზომი სიდიადე, გატყვევებს მისი სიამაყე, ქედს იხრი მძლავრი სტიქიონის წინაშე და ძალა უნებურათ გინდა აპატიო ისეთი დიდი დანაშაული, როგორიცაა სოფლელთა დარბევა, მაშვრალთა აკლებ-აწიოკება.

ასეთია დღეს გოგოლის დნეპრი...

ასეთია უკრაინის შუაგული გაზაფხულის პირველ ხანებში.

დიახ, კიევი ამ ჟამათ თავის კოხტა—მოხდენილი, მწვანით შემკული ფერდობებით კავკასიის ქალაქს უფრო მოგაგონებთ, ვინემ რუსეთისას. და ამიტომაცაა, რომ მას აგრე რიგათ ეტანება კავკასიელი ახალგაზრდობა სომხობაა იგი თუ ქართველობა.

მაგრამ უსამართლობა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ მარტო ეს (გამოზაფხულება) არაა მიზეზი აქაური ქართველობის აფუსფუსება-ხმაურობისა. იგი სულ სხვაა, უფრო ღრმა, უფრო საბუთიანი. მე მშობლიურ გრძნობაზე მოგახსენებთ. უკრაინას სიტურფე, უკრაინაში გამოზაფხულება სამშობლოს გვაგონებს, საქართველოში გამოზაფხულებას გვითვალსწინებს. აქაური მიწის კალთები გვიახლოვებს სამშობლოს ბილიკებს თავისი მოციგლიგე მდინარე-ნაკადულებით. იღვიძებს წმინდა გრძნობა...

მწვავდება სამშობლოს ნახვის სურვილი, ველარ ეტევა იგი პოტენციალობის ჩარჩოებში და გარეთ გამოდის, სახეზე აშკარავდება, მჟღავნდება.

ამას ნათლათ ამოიკითხავთ დღეს ქართველი სტუდენტის ფიზიანომიაზე; იგი დაუმალავათ ისახვის ყოველ ჩვენგანის ღიმება-გამომეტყველებაში.

ყველა გამოცდებს უჩქარის; ყველა სამაცადინოთ მიეშურება; ავიწყდება რომ აქაც იხდის დღეს ბუნება ზეიმს, აღარ დაეძებს გავლა-გასეირნებას, ოღონდაც მალე მორჩეს საქმეს და მით დააჩქაროს ის ნეტარი დღე, როცა იგი კვლავ მიაშურებს სულზე უტკბესს სამშობლო მხარეს.

მართლაც! ცოტა კიდე-და ქართველი სტუდენტობა—ეს ცოცხალი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა გაზაფხულის მერცხლობივით შემოესევა ჩვენ პატარა ქვეყანას დიდი რუსეთის ყოველი კუთხიდან. ცხადია აქაური ქართველობაც არ ჩამორჩება ძმებს საერთო ფერხულში და მალე ჩვენი სამშობლოც მწვანე ქუდიანებით აფორაჯდება.

კი, მარა რას მიუტანს მერე ქართველი „მერცხლები“ იმ საერთო დედას, რომელმაც გამოსტუმრებისას ვინ იცის რამდენი იმედი არ გამოატანა?

რით გამოეხმაურება ქართველი სტუდენტობა მიმდინარე სამშობლოს 9—10 თვის სიჩუმის შემდეგ?

ოდნავ მაინც თუ დაუამებს იგი მას იმ ტკივილებს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ასე გაამწვავა ცხოვრების სიდუხჭირემ? ან რით გადაუხდის იგი მას სამაგიეროს იმ ტკბილ წუთებისათვის, რომელსაც მის ბუნების წიაღში განიცდის იქ ყოფნის დროს და რისთვისაც ასე მიეჩქარება იგი ჩრდილოეთიდან? მას ხომ დღეს ეჭირვება შველა, როცა თანამედროვე მსოფლიო ომის ქარტეხილმა ასე ჩააბა იგი სხვა ერებთან ერთად სამერმისო ისტორიის პროცესში.

მას ხომ დღეს უნდა ნუგეში, როცა იგი ესოდენ ჯანღონით სავსე ახალგაზრდას სწირავს ბრძოლის კოცონზე?

დასასრულ, რით უპასუხებს იგი „ჩაფიქრებულ მთა-წმინდის“ ამოგმინვაზე, როცა მოხუცი მამის ახალ სამარეს ჩაუვლის?

ეს ხომ ის წმინდა სამარეა, სადაც ჯერ კიდევ სულ დიდი ხანი არაა, რომ ჩაესვენა დიდება და სიამაყე ქართველი ერისა, შვენება და გვირგვინი ქართული პოეზიისა.

კითხვებზე მე აქ არ ვუპასუხებ.

დე! თვით ჩაუკვირდეს ყოველი ჩვენგანი ამ ცოცხალ სინამდვილეს.

დე! ყოველი ჩვენგანი დარწმუნდეს იმაში, რომ დღეს ის აღარ არის, რაც იყო. დღეს მეტი სიფრთხილე, მეტი ყურადღება გვმართებს. დაყოვნება მიუტევებელ ცოდვათ ჩაგვეთვლება. ცხოვრებამ მოცდა არ იცის. ისტორია დაუნდობელია. მან ისედაც ტანჯულ ქვეყნის წინაშე ყოფნა არ ყოფნის საკითხი წამოაყენა. და აბა რიღას შვილები ვართ თუ მშობელს გასაჭირში არ მივხედავთ.

ამიტომ ვვედავ და მოვუწოდებ ყოველ ქართველ სტუდენტებს, ვისაც ჯერ კიდევ სავსებით არ დაკარგვია იმედი ჩვენს მომავალზე, ვისაც სიტყვა „ქართველი“ დიდი არჩილის არ იყოს, სასირცხოთ არ მიაჩნია, შევერთდეთ, შევკავშირდეთ სამშობლოს საკეთილდღეოთ განურჩევლათ მიმართულებისა, გავიმსჭვალოთ ამ აზრით, დავივიწყოთ ცოტათი მაინც კერძო, პირადული, უკუვაგდოთ ჩვეული კინკლაობა, ჯანი, შური და საქმეს მივყოთ ხელი: გავიფანტოთ სოფლათ, მოვაწყოთ პატარა ექსკურსიები, დავინაწილოთ უბნები, დაბები და მოვეფინოთ ხალხში. მივაწოდოთ მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა სულიერი საზრდო: უკითხოთ კვირა-უქმეებზე ეკლესიის გალავანში შეყრილ გლეხობას წიგნაკები, ჟურნალ-გაზეთები, გავმართოთ ლექციისებური საუბარი გასაგებ ენაზე, განუმარტოთ სხვა და სხვა საამდღეო საჭირბოროტო საკითხები, ავუხსნათ სკოლა-ბიბლიოთეკა-სამკითხველოსა და სხვა კულტურული დაწესებულებათა საჭიროება და მნიშვნელობა, გავაგებინოთ ცუდი ზნე-ჩვეულებების გადადების აუცილებელი საჭიროება, გავახშიროთ უფასო წარმოდგენები და სხ. და მერწმუნეთ, რომ ჩვენი ვალი სრულიად მოხდილი გვექნება. ჩვენი შრომა ნაყოფს გამოიღებს. ჩვენ დავუახლოვდე-

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა, სამწუხაროთ, დაიგვიანდა. რედ.

1912—„ — „ 50.0 % . 5.3 %
1913—„ — „ 52.7 % . 4.6 %

კიდევ უფრო ნათლათ დაგვეხატება საფრანგეთის ეკონომიურათ უკან ჩამორჩენა ერთი მხრით და გერმანიის წინ-სვლა-წარმატება, მეორეს მხრით, როცა გერმანიიდან რუსეთში შეტანილ საქონლის ღირებულების რაოდენობას შევადარებთ არა მარტო საფრანგეთიდან შეტანილს არამედ ინგლისიდანაც.

აი ეს ცხრილიც:

წლები:	გერმანიიდან:	საფრანგეთ.:	ინგლისიდან:
1908 წ.	331.8 მილ. მ.	35.7 მ.	119.9 მილ მ.
1909 „	354.8 „	„ 49.0	„ 128.0 „ „
1910 „	441.0 „	„ 69.4	„ 135.5 „ „
1911 „	476.8 „	„ 56.2	„ 153.9 „ „
1912 „	519.1 „	„ 55.2	„ 139.3 „ „
1913 „	642.7 „	„ 56.0	„ 170.3 „ „

ეს ცნობები მოჰყავს თავის ბროშურაში პარიზის სავაჭრო პალატის მდივანს, რომელიც ნემცების წარმატებას კომერციაში იმავე პირობებით და გარემოებით ხსნის, როგორც ზემოთ დასახელებული ელჩი ვარშავისა.

„ასე იმარჯვებენ კომერციულ ასპარეზზე ნემცები“, შემოგვტირის საფრანგეთის სავაჭრო პალატის მდივანი; რას შვრებიან ამ დროს ფრანგები? კითხულობს იგი გულდაწყვეტით და თვითონვე უპასუხებს: ფრანგები ამ დროს ისხდენ არხეინად თავიანთ სახლებში და „ზაკაზებს“ ელოდენ... ისინი სულაც არ ცდილობდენ, როგორც ამას „ნემცები“ სჩადიან, შეესწავლათ რუსეთის ბაზრის ბუნება და ხასიათი, გაეგოთ რუსი მუშტრის გემოვნება და მიდრეკილება და სხვა და სხვა...

იმისთვის რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს, საფრანგეთი რუსეთთან დაეახლოვებია და ფრანგული საქონელი რუსეთის ბაზარზე გავრცელებია, რათა გერმანულისთვის მეტოქეობა გაეწია, მან სამინისტროსთან განსაკუთრებული კომისია შეადგინა, რომელსაც შესაფერი ზომების გამონახვა და მიღება მიანდო.

კომისია თავის დროზე დაარსდა და საქმესაც შეუდგა.

და როცა ამ კომისიამ რუსეთში ნახევრათ დიპლომატიური და ნახევრათ კომერციული ხასიათის მისიის გაგზავნა განიზრახა და იქ შესვლა პარიზის სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს მოსთხოვა, ამ უკანასკნელმა ასეთ საპატიო როლზე უარი განაცხადა; იმ მოსაზრებით, რომ ეს მისია უფრო პოლიტიკური მანიფესტაციას გულისხმობდა, ვიდრე რუსული ბაზრის სერიოზულათ შესწავლას.

პალატის თავმჯდომარის აზრით კი კომერციული საქმე „დიპლომატიური სალამ-ქალამით“ როდი კეთდება, არამედ საჭიროა მტკიცეთ იცოდე, თუ რა გსურს.

მისი აზრით ბაზრის დასაპყრობათ მხოლოთ ერთი მეთოდი არის გამოსაყენებელი და მიზან-შეწონილი და ეს მეთოდი სწორეთ ის მეთოდია, რომელსაც ნემცები ისე მარჯვეთ იყენებენ.

ეს მეთოდი გვეუბნება, რომ თუ გინდა ბაზარი დაიპყრო, ამისთვის იქ, ბაზარზე უნდა მიზიდო რაც შეიძლება მეტი საქონელი, რომელიც მკვიდრთა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და რომელიც იმავე დროს შეიძლება მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომ იაფ ფასებში და ხელსაყრელ პირობებით გასცე.

ერთი სიტყვით, **კარგი ღირსების საქონლის იაფ ფასებში მიწოდება**, აი დევიზი თანამედროვე საერთაშორისო მსოფლიო კომერციისა.

მხოლოთ ამ დევიზით შეიძლება დღეს გამოსვლა მსოფლიო ბაზარზე და არა ძველებური, ჩარჩული ხრიკებით: ტყუილებით, ფალსიფიკაციებით და ათასგვარ დამპალ-დუმპალი, ნაყარ-ნუყარი საქონლის შეძლევით.

დღეს ეს საფრანგეთმაც იცის, მაგრამ რას არგებს მარტო და „ცოდნა-ცნებანი“, თუ საიმისო თანხა ჯიბეში არ უძევს და წარმოებითი ძალები იქ შესაფერათ ჯერ კიდევ არ მომწიფებულან. გერმანიას თუ უყურებს, ის დროზე მომწიფდა, სამრეწველო მსხვილი კაპიტალის ზრდა იქ საოცარი სისწრაფით სწარმოებდა და იქამდე მივიდა, რომ თავის საკუთარ ფართო კალაპოტში რომ ვეღარ დაეტია, დღეს გადმოსახეთქათ ისწრაფვის, რომ მთელი ქვეყნიერება მორწყას და მიდამოები ოქროს რიყეებით მოქარგოს.

აი რათ დაჰქრადა გერმანიას „მილიტარიზმი“ და რისთვის იკაფავს იგი ყუმბარებითა და ხმლებით სავალ გზას!

დ—ელი.

პროგრამა და ცხოვრება.

ქართული ცხოვრება იმ კლასს წააგავს, რომლიდანაც მასწავლებელი ეს არის გავიდა და სადაც საშინელი ღრიანცელი და ორომ ტრიალი დგას. არა გვყავს დამრიგებელი, არა გვყავან დიდი მასწავლებლები, რომლებიც შეგვასწავლიდნენ არა მარტო ცხოვრების ცოდნას, არამედ მოყვასის სიყვარულსაც. მე მგონია, ყოველი აღზრდა უმთავრესად სიყვარულზედ და პატივისცემაზედ არის დამყარებული. ცოდნა მხოლოდ სამკაულია ზემოაღნიშნულ სათნოებათა და ვისაც არა აქვს პირველი და მეორე, მესამის ქონება იგივეა, რაც სამი ხელის ქონება ცალ ფეხთან. სამწუხაროთ ადამიანის ბუნება ისეა შექმნილი, რომ ვერავითარი კომპენსაცია ვერ გამოისყიდის ადამიანის ნაკლს. ასჯერ უკეთეს ხმასთან, თუ ასჯერ უარესი სმენა გაქვთ ვერ იმღერებთ სევდების ელეგიას და დიდი თავის ქალა—ეს ცენტრალური სადგური ჩვენის ტვინისა და ნერვებისა უინტელექტოთ იგივეა, რაც დიდი აპარატი უმამოძრავებლოთ. ეს უმთავრესი პრინციპი ჰარმონიულ განვითარებისა უცვლელათ გადადის ინდივიდუმის კერძო ცხოვრებიდან დიდ პოლიტიკურ ორგანიზმში. რას წააგავს ჩვენი პოლიტიკური ორგანიზმი? ყველაზედ ზედმიწევნით გადმომცემი ჩვენის შეგნებისა, ჩვენის რწმენისა, ჩვენის გემოვნებისა და ზნე-ხასიათისა—პრესა არის. იგია მაჩვენებელი ჩვენის პოლიტიკისაც და ჩვენის ეთიკისაც. და მე არ შემხვედრია ჯერ განათლებული ქართველი—გარდა იმ თავშეუყვარებულ მწერლებისა, რომლებთაც თავისი ნაწარმოები თითონვე მოსწონთ—რომ კმაყოფილი იყოს ქართული პრესით. ასეთი, არ ვიტყვი ზიზღი, მაგრამ უმადურობა ქართულ პრესისადმი, ყველაზე დიდი და, თუ გნებავთ, ყველაზედ დამსახურებული პროტესტია მთელ ქართულ პოლიტიკისადმი. არ ვიტყვი, რომ ჩვენ—პრესის მომუშავენი და ჩვენი გაზეთები იმიტომ არ მოვსწონდეთ ქართველ ადამიანს, რომ ჩვენ მანკიერი, ანგარი ხალხი ვიყოთ. სიწმინდე ქართული პრესისა ეჭვს გარეშე სდგას და ჩვენ შორის არმოიპოვებიან იუდები, რომლებიც კალმით ვაჭრობდნენ, მაგრამ აშკარათ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ცუდი ზნის ხალხი ვართ. ჩვენ არა ვართ ჩამომავალნი შუა საუკუნეთა კნეხტებისა, რომლებიც ყველა დროში ქვეშ იბრძოდნენ გასამრჯელოს გულისათვის, მაგრამ ჩვენ უსათუოთ ჩამომავალნი ვართ იმ შეიარაღებულ წინაპართა, რომლებმაც **მახტომა** იცოდნენ, მათი იარაღი ჩვენ კალმებათ გადავკვერეთ, მაგრამ კალმის წვეტიდან მელნის მაგივრათ ხშირათ სისხლი სწვეთავს.

ინკვიზიციის დროებმა გაიარეს, მაგრამ პირადი კრედოს მოტრფიალენი ჯერაც არ გამქრალან. სთქვი რა გწამს? აი, რით იწყობენ ყველანაირ კამათს ისინი, ვინც ის უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეითვისა, რომ მრწამსი ადამიანისა მის სიტყვებიდან კი არა, მის მოქმედებიდან უნდა ამოკრიფო. ჩვენ გვაქვს კითხვები და ჩვენ გვაქვს პასუხი, ამბობს არ. ჯ—შვილი,—„თითეულ ამ საკითხთაგანი ჩვენთვის ცალ-ცალკე კი არ არსებობს, არამედ ორგანიულად არიან შეკავშირებულნი და ჩამოყალიბებულნი ერთ სოციალ-პოლიტიკურ მრწამსათ“. მაშასადამე თქვენც უნდა სთქვათ, როგორია თქვენი პროგრამაო—ეკამათება იგი გაზეთ „საქართველოს“.—ჩვენ არ უარვყოფთ ამ პროგრამმას და ოდესმე დრო მოითხოვს კატეგორიულად, რომ ეს პროგრამა გამოაშკარავდეს, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რა ფასი აქვს ნაჩქარევათ შედგენილ პროგრამმას. გულ-უბრიყვილობა იქნება, რომ ეხლა ჩვენ პროგრამა დავსწეროთ და პატარა ბროშურით გავსწიოთ ხალხში. ქაღალდის ნაფლეთი პანაცეი არ არის, რომ ამ პროგრამამ შეაკავშიროს ვინმე. ცარიელ პროგრამას ხალხი არ გაჰყვება, რადგანაც დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა პროგრამები ჩვენში ისევე სადღებოდა, როგორც ნაფოტები იმ კიბისა მორწმუნეთა შორის, რომელიც იაკობმა ნახა სიზმარში. განა ცარიელ პროგრამას რომ მნიშვნელობა არა აქვს, თვით „სახალხოელებმა“ კი არ იციან? რა აქვთ მათ განა პროგრამის მეტი—არაფერი! და ეს იმიტომ, რომ ყველაფერზედ ადრე ისინი პროგრამის შემუშავებას შეუდგნენ და იმ ელემენტზედ, რომლის სახელმძღვანელოც იქნებოდა ეს პროგრამა, სულ არ იზრუნეს. რა შედეგი მოჰყვა ამას? ის რომ მათი პროგრამა უბრალო ეტიკეტს დაემსგავსა, რომლითაც ისინი თამამად შედიოდნენ თავად-აზნაურთა დაწესებულებებშიც, მუშებთანაც, გლეხებთანაც და სავაჭრო სახლებშიაც. ასეთი პროგრამა ჩვენთვის საჭირო არ არის. სალი და ცხოველი პროგრამა მუდამ სოციალ-პოლიტიკურ ინტერესთა ნაკარნახევი არის. ქართულ სოციალურ ჯგუფთა ინტერესები, თუ ყველასი არა, ზოგიერთების მაინც, მხოლოდ ეხლა ირკვევა და აშკარავდება. ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა და როდესაც ეს ინტერესები მთლათ გამოაშკარავდებიან, მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩვენი პროგრამის გამოქვეყნება.

ზ. ამირეჯიბი.

ბით ჩვენსავე მარჩენალ ხალხს, გავიცნობთ მის ფსიხოლოგიას, შევისწავლით მათში დარჩენილ ძველ ქართულს ზნე-ჩვეულებებს და ზეპირ-თქმულებებს, რომლებშიაც ვინ იცის რამდენი ობოლი მარგალიტია გაბნეული. ისიც (ხალხი) გამოიცხადებს თავის ნდობას, შეიყვარებს და დააფასებს სწავლა-განათლებას, აღარ გახდება ისე უანგარიშოთ სოფლის მოხელეებისა და ჩარჩების მსხვერპლი. ყველა ამას შედეგათ კი ის მოჰყვება, რომ აღარ განმეორდება სოფლელების მიერ ისეთი მწარე ჭეშმარიტება, როგორსაც მაგალ. „სამშობლოს“ 46 ნომერში პატივცემული თ. ჟორდანია გულმტკივნეულათ მოგვითხრობდა.

ჩვენ კი, კერძოთ კიდევ მეტს სარგებლობას მოვუტანთ ჩვენს თავს: დავეწაფებით უხვათ სოფლის სალ ბუნებას, ავაცილებთ დასუსტებულ ფილტვებს ქალაქის მტვერიან ჰაერს, დავსტკბებით ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, ბუნებრივი შვენიერებით, დავასვენებთ მოქანცულ მოღლილ გონებას, დავამშვიდებთ აშლილ ნერვებს; სამაგიეროთ ავამუშავებთ დაჩლუნგულ ფიზიკურ ძალას, ავამოძრავებთ დაძაბუნებულ ორგანიზმს, მოვიპოვებთ, როგორც ჯანმრთელობას, ისე სულის სიმშვიდეს და, რაც ყველაზე მეტია სიცოცხლის ღირებულებას, რომელიც ზოგიერთებს დღეს ასე გაუიაფებია. მაშასადამე, შევიარაღდებით უფრო მომზადებულათ ცხოვრების ტლანქ ტალღებთან საბრძოლათ, რაც არ აგვცდება ჩვენი მიზნების დასაგვირგვინებლათ.

ამაზე მეტი კიდე გვინდა?! აბა ქალაქი რას მოგვცემს ამის ფასს? თუ მეტყვით იქაცაა საქმეო—მართალია არის, მაგრამ იქ ამის გამკეთებლებიც არიან, ყოველ შემთხვევაში დარჩება ნაწილი მაინც; ყველა ხომ ვერ მიატოვებს ქალაქს. ზოგს ეს კიდეც, რომ სურდეს, ვერ იზამს სხვა და სხვა მიზეზის გამო. ჩვენ კი, ვისაც შეგვიძლია, ზნეობრივათ მოვალენი ვართ მივხედოთ სოფელს. ჩემის ფიქრით, დღეს სოფელი ყველაზე მეტ გაჭირვებას განიცდის.

სოფლელი გლეხი უნუგეშოთაა მიტოვებული, იგი ყველასაგან აბუჩათაა აგდებული. მკვიდრი შვილნიც კი არ ინდობენ მას.

აბა რით აიხსნება ის, რომ ჩვენში ორი ანბანი ისწავლა თუ არა ვინმემ, გაურბის სოფელს, ზურგს აქცევს გამომზრდელ კერას, უკადრისობს ინტელიგენტი ვარო, რცხვენია კიდეც „სოფლის მუშას“ გვერდში რავა ამოუდგეო. თითონ დღესასწაულს ქალაქში ითენებს „ვიზიტებით“ და იქ კი უკიჟინებს საბრალო სოფლელთ დღესასწაული გადააგდეთო*) და სხვა.

მაშ ბატონებო! სიტყვა საქმეთ ვაქციოთ. ხომ გაიგონეთ ბატ. ლ. ჩიმაკაძის მოწოდება სახ. მასწავლებლებისადმი „სამშობლოს“ 54 №-ში.

ის სიტყვები ჩვენთვის ფრიად საყურადღებოა. დაე! იმათ შეკრიბონ ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური და ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული ცნობები. ჩვენ კი მეორეს მხრის გავუწიოთ დახმარება ჩვენ სოფლებს და, მაშასადამე, მთელი ქვეყნის მომავლის საქმეს.

მ. ტყ—ძე.

სრულიად ვეთანხმებით ბ. თ. ჟორდანიას, რომ ყოველივე დღესასწაული დღე გადაგდების ღირსი არაა. ბევრი ძველი ბევრს ახალსაც სჯობია.

რედაქციისაგან.

რადგანაც ბატონ პეტრე იოსების ძე გოკიელს, რომელიც ეს მეექვსე თვეა უფულად სინდისიერ ფასებში გვითმობდა გაზეთის ქაღალდს, ქაღალდი გამოელია და წინდაწინვე ჩვენთვის დაბარებული ქაღალდი კი ჯერ არ მოსულია, ჩვენ იძულებული ვართ ხვალიდან, 18 ივნისიდან ჩვენი გაზეთი დავბეჭდოთ ფერადსა და ცოტა პატარა ზომის ქაღალდზე.

არის მეორე მაღაზია ქუთაისში—მაღაზია დავით ივანეს ძე ოცხელისა, რომელსაც აქვს გაზეთის თეთრი ქაღალდი, ომამდე შეძენილი.

ამ ქაღალდს ჩვენ უწინ ვყიდულობდით 3 მ. 40 კ. **ოზმას**. ახლა კი,—ეს ორი დღეა,—იმავე ქაღალდში გვახდევინებს **ოზმაში** შვიდ მანათს, ე. ი. თუ ბ-ნი პ. გოკიელი გვართმევდა დღეში, ერთი ნუმრის სამყოფ ქაღალდში—ოთხ ოზმაში—14 მანეთს და 40 კ. დღეს ამდენსავე ქაღალდში დავით ი. ოცხელი გვართმევს დღეში 28 **მანათს**. როგორ ხარჯებსაც ვერც ერთი ჩვენებური რედაქცია ვერ შესძლებს.

ყველა უჩივის შეუგნებელ ჩარჩებსა და ვაჭრებსაც-კი მაგრამ, როცა ვითომ კულტურული დაწესებულება ,,წიგნის მაღაზია ოცხელისა‘‘ ასეთ ჩარჩობას სჩადის ჩვენ არშეგვიძლია არ გამოვუცხადოთ ჩვენი უღრმესი პროტესტი და ზურგი არ შევაქციოთ*)

ვსთხოვთ ჩვენ მკითხველებს დასდონ თავისი მჯავრი ბ-ნ დ. ოცხელს, როგორც ვაჭარს, და ჩვენ კი დროებით გვაპატიონ უნებლიეთი ბეჭდვა ჩვენის გაზეთისა ფერად ქაღალდზე, ვეცდებით მკითხველებს დანაკლისი აუნაზღაუროთ.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ სამშაბათს, 16 ივნისს, შავი ქვის საბჭოს დარბაზში შესდგა ქალთა საზოგადო კრება გამგეობის ასარჩევათ. გამგეობის წევრებათ აირჩიეს:

ეკატერინე ბერიძის ასული, ჩიტო შარაშიძის ასული, ნინო ბადრიძისა, ანასტასია ყიფიანისა, ნინო გიორგაძისა, ელენე კლდიაშვილის ასული ელენე მეფისაშვილის ასული, ოლღა იოსელიანის ასული, ოლღა გეგეჭკორისა, ცაცა დარახველიძის ასული, ელ. ბახტაძის ასული, შუშანა უზნაძისა და ლიზა გელაზაროვისა. გამგეობის თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა მ. კუპრიშვილის ასული. დანარჩენი წევრების არჩევა ეკენისთვისათვის გადაიდვა.

◆ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თბილისიდან საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარის მილოვისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „სცნო რა უსაჭიროესათ სამხედრო-სამრეწველო ცენტრალური კომიტეტის განყოფილების დაარსება თბილისში ამიერ კავკ განყ. სახელით, ცენტრალური კომიტეტის ნებართვით, საბაჟო კომიტეტი 28 ივნ. ქ. თბილისში გამართავს საორგანიზაციო თათბირს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საბაჟო კომიტეტის წარმომადგენლები, სავაჭრო-სამრეწველო საბჭოების წინამძღოლები და სხ. დაწვრილებითი ცნობებს მიიღებთ ფოშტით.

---

*) 9 ოზმაში, ნაცვლად 33 მან., რომელსაც ბ. გოკიელოვთან ვიხდიდით, ბ. ოცხელმა გამოგვართვა 63 მან. დახმარებაც ასეთი უნდა?! ე. ი. ოცხელმა ორ დღეში 30 მან. მეტი წაიღო და, რასაკვირველია, ასეთს ზედმეტ ხარჯებს რედაქცია ვერ აიტანს, რისთვისაც, ვიმეორებთ, იძულებული ვართ ჯერჯერობით გაზეთი ვბეჭდოთ ბ. გოკიელოვისაგან დათმობილ ფერად ქაღალდზე.

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთ. განყოფილებას, გახსნას უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო მესხეთის ქუჩაზე [illegible] დორთან.

◆ 15 ივნ. ს. კურსებიდან (ქუთ. მაზ.) მდ. წყალწითელამ უეცრივ მოიტაცა ორი კაცი, დამხრჩვალის გვამები ჯერაც ვერ უნახავთ.

◆ 14 ივნისს, აკადემიკოსი მარი თბილისს ჩამოსულა, საიდანაც ანს გაემგზავრება არქეოლოგიური ნაშთების გამოსაკვლევათ.

◆ 17 ივნისს, ქუთაისში ცხენების მობილიზაცია უკვე დასრულდა.

◆ 12 ივნისს, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების კრებაზე დაადგინეს; დეპეშით შეეკითხონ თბილისის მთავარ გამგეობას, აქვთ თუ არა უფლება, რომ შეაგროვონ აჭარლების სასარგებლოთ ფული დეპუტატ ჩხენკელის წინადადებით, გადაწყვიტეს განყოფილება გახსნან: ოზურგეთსა, ახალ სენაკსა და ქიათურაში. აგრეთვე დაადგინეს გადაიდვას. კორბოულის (შორაპნის მაზრა) 50 მ. გლეხობის დასახმარებლათ გადამდები სენის წინააღმდეგ.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება

(გაგრძელება, იხ. „სამშ.“ № 106).

გამგეობის მდივანმა ი. ბაქრაძემ წამოაყენა საკითხი ბუღალტერიის გაუმჯობესების შესახებ და გამოსთქვა ის აზრი, რომ საჭიროა ბუღალტრის მოწვევა; უკეთუ საშუალების უქონლობისა გამო შესაძლებელი არ იქნება საკუთარი ბუღალტრის დანიშვნა, იმ შემთხვევაში დაევალოს რომელიმე ბანკის ბუღალტერი, რათა საჭიროების დროს, როდესაც გამგეობა მოიწვევს, მოვიდეს და მოაწესრიგოს საბუღალტრო საქმეები, რისთვისაც დაენიშნოს ჯილდოთ წლიურად 300 მანეთი. ივ. პურადაშვილი დაეთანხმა ამ მოხსენებას და დაუმატა, რომ აუცილებლივ საჭიროა მოიწვიოს საზოგადოებამ საკუთარი ბუღალტერი და ან თანაშემწე მაინც, ზიარი ბუღალტერი არ ივარგებს, ამისათვის საზოგადოებამ უნდა გადასდოს საჭირო თანხა. კრებამ საკითხი გამორკვეულად იცნო და შეუკავშირა ხარჯთ-აღრიცხვას. შემდეგი საკითხი შეეხებოდა შორაპნის მაზრაში ს. დილიკაურის მამულს, რომელიც შემოუწირავს საზოგადოებისათვის კნეინა პეპი აბაშიძისას და შესდგება ექვსი ოთახიანი სახლისაგან ეზოთი და ვენახით და ცალკე ერთი ნაჭერი ტყისაგან, ზომით სულ 11 ქცევა, ღირებული არა ნაკლებ 5 ათასი მანეთისა; როდესაც კნეინას შემოუწირავს ეს მამული სურვილი განუცხადებია, რომ საზოგადოებას დაეარსებია აქ სამეურნეო სასწავლებელი, ან საჩქოლე, და მით სარგებლობა მოეტანა სოფლელებისათვის. როგორც მომხსენებელმა ი. ბაქრაძემ გააცნო კრებას, დღემდი ამ მამულის მოვლა-გაუმჯობესებისთვის გასულა ხარჯი 440 მანეთი და შემოსავლს კი ჯერჯერობით არაფერს არ იძლევა, ამიტომ გამგეობას განუზრახავს შემომწირველის ნებადართვით ჯერჯერობით გაყიდოს ტყე, რადგან ეზოვენახზე დაშორებულია და მოვლა ერთ კაცს არ უხერხდება. ამ საკითხმა გრძელი კამათი გამოიწვია. ილაპარაკა ამ საკითხზე სულ 12 წევრმა, რომელთაც გამოსთქვეს სხვა და სხვა აზრი:

პ. მიქელაძე. რადგან მამულის შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს, საზოგადოებამ მთლად გაყიდოს და ფულად აქციოს.

ი. ოცხელი. შემომწირველისაგან ზნეობრივი დავალება გვაქვს, მამული შევინარჩუნოთ, ამიტომ გავყიდოთ მარტო ტყე, ეზო და ვენახი დავიტოვოთ და მოუაროთ.

პ. ყიფიანი. თუ შევეღლევით და გავყიდით, მამული მთლად უნდა გავყიდოთ, და არა მარტო ტყე, მაგრამ ამისი ნება არ მოუცია ჩვენთვის შემომწირველს, ამიტომ საზოგადოებას უფლება არა აქვს გაყიდვისა.

ბ. მოსეშვილი. შემომწირველთან გამგეობას ჰქონდა ამის შესახებ ლაპარაკი და ისიც თანახმა გახდა მამული გავყიდოთ, თუ ზარალის მეტს არაფერს გვაძლევს, მაგრამ გამგეობის აზრია გაყიდოს ტყე, რადგან ძლიერ დაშორებულია ეზო—ვენახზე და მოვლა ვერ უხერხდება; ეზო და ვენახი კი ჩავაბაროთ იქაურ სანდო პირს მოსავლელად.

ლადო ბზვანელი.

(შემდეგი იქნება).

დავიწყებული მუშაკნი

ბევრი თქმულა და დაწერილა სახალხო მასწავლებლის ყოფა-ცხოვრებისა და მისი უნუგეშო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ სიტყვა სიტყვათ რჩება და ჯერჯერობით ბევრი არაფერი გარიგებულა და არცა რა დღეს რიგდება იმ მასწავლებლის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, რომელიც გვზდის და გვიმზადებს ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედსა და ნუგეშს, ჩვენს ახალთაობას და ნახევრად მშიერ-წყურვალი ეწევა თავის მძიმე მოვალეობას.

ის ერი, რომელიც დღეს ასე ერთსულობით და ერთგულობით საკაცობრიო ომს აწარმოებს თავისი პირველობისათვის, ერთ დროს ფეხზე დააყენა და წელში გამართა სოფლის მასწავლებელმა. ერთ დროს წვრილ-წვრილ სამეფოთ და სამთავროებად დაქუცმაცებული გერმანია, სულიერად გაიერთეს და დიდ მთელათ აქციეს სოფლის მასწავლებლებმა. როცა ასე სულიერად გაერთიანებული გერმანია პრუსიის მეფის ვილჰელმ პირველის მეთაურობით 1870 წ. საფრანგეთში შეიჭრა და პარიზს ალყა შემოარტყა გერმანიის პოლიტიკურად გაერთიანების საქმეც მაშინ გათავდა და ვილჰელმ პირველიც გერმანიის იმპერატორად გამოცხადდა. ეს პოლიტიკური გაერთიანება უმთავრესად სახალხო მასწავლებლისაგან შექმნილი ძლიერი სულის შედეგია. ამას არც გერმანელები მალვენ და 1870-71 წლების გამარჯვება სახალხო მასწავლებლს მიაწერეს და მის ღვაწლს ხალხიც და მთავრობაც ღირსეულად აფასებს.

ჩვენში სახალხო მასწავლებელი ერთისაგანაც დავიწყებულია და მეორესაგანაც. ასე გასინჯეთ სათათბირომ, უზრუნველჰყო რა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელ-უფროსნი გაორკეცებული ჯამაგირებითა და პენსიით, ოღნათაც არ გააუმჯობესა სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა. ის ისევ იმავე უნუგეშო მდგომარეობაში დარჩა და როდაც 30-40 მანეთს ვერ გაცილდა მათი ჯამაგირი თვეში, თუმცა სახალხო მასწავლებლების ერთი ნაწილი (სამინისტრო შკოლის) ასეთ მდგომარეობას გასცდის, ამათი ყოფა-ცხოვრება სანატრელათ გახდომია მეორე ნაწილს მეორე უწყების მასწავლებლებს. ესენი არიან სამრევლო სკოლის მასწავლებელნი.

სამრევლო სკოლის მასწავლებლების ჯამაგირი არ აღემატება 10 20 მან. თვეში და იშვიათათ 20 30 მან. ამის მეტი არც გათბობა, არც განათება და არც მსახური არ არის მათთვის. გათბობას სკოლაში ორჯერაც ვერ ეღირსება წელიწადში. თუ სოფელსა და მის მოხელეებს თავის წმინდა მოვალეობათ დაუსახავთ ამ მხრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებლის უზრუნველ-ყოფა, სამრევლო სკოლის მასწავლებლის შესახებ ყურსაც არ იბერტყავენ. 10 და 20 მან. თითონ ქამოს, კოლ-შვილი შეინახოს, მტერ-მოყვარეს გასცეს პასუხი, თუ სკოლა გაათბოს და გაანათოს? ზოგი ამასაც ვერ ღებულობს და ისე უსასყიდლოთ ეწევა შრომას იმ იმედით, რომ თუ დღეს არა, ხვალ მაინც გაუღიმებს ბედი და დაფასდება მისი ღვაწლი და შრომა. მაგრამ დღე-დღეს მისდევს წელიწადი წელიწადს და მის მოლოდინს, მის ტანჯვას ბოლო არ უჩანს.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ესენი მოკლებული არიან იმ უფლებასაც კი, რომლითაც ნება ეძლევათ და ფართოდაც სარგებლობენ სამინისტროს სკოლის მასწავლებლები. მოკლებული არიან იმ უფლებას, რომ უსასყიდლოთ აღზარდონ თავისი შვილები სახელმწიფო სასწავლებლებში და თუ თვითონ არა, მათი შვილნი და მომავალნი მაინც გამოიყვანონ გაჭირვებისაგან. თითქოს ესენი არ იყვნენ სახალხო მასწავლებელნი და ხალხის აღმზრდელები! ვისთვის რა დაუშავებიათ ამათ, არ ვიცით.

არც ის ვიცით, თუ ვის მივაწეროთ მათი ასეთი უყურადღებობა. ეს კი ვიცით, რომ, როგორც კი ჩვენი დუხჭირი ცხოვრების ფონზე ვოსტორგოვები გამოჩნდებიან, მათთვის ფულიც მზათაა და ადგილიც; უფიქრალს იფიქრებენ, უჩინარს გააჩენენ მათთვის! აბა მიბრძანეთ რა საჭიროა, რომ საეგზარხოსოს სკოლების ოთხ მეთვალყურეს მეხუთე მწყემსათ მოუჩინეს?! თუ გრძნობენ, რომ ესენი სამწყსავი არიან ადგილზე რაღათ აჩერებენ თუ არადა მეხუთე რიღას მაქნისია, რომ ეპისკოპოსან გამოიწერს და საეგზარხოსო მისიონერი უწოდეს სახელად?! აბა რა მისიონერია ის, რომელსაც ქართულისა და სხვა ადგილობრივი ენების ისე, არა გაეგება რა, როგორც მე ჩინურის?!

მაგრამ კმარა, პოეტისა არ იყოს, ჩვენ რომ მდგომარეობაში ვართ, კარგი რამ გვჭირდეს გვიკვირდეს, თორემ ავი რა საკვირველია?!

ასე უმნიშვნელოთ, ასე უნამუსოთ იფლანგება ხალხის ოფლით მონაგარი გროშები და ამ დროს ამავე უწყების სახალხო მასწავლებელნი კი მშიერ-მწყურვალნი არიან და არაქათ გამოლეულნი იმის ნახევარსაც ვერ აკეთებენ, რის გაკეთებაც შეუძლიათ უკეთეს პირობებში. რაც იყო იმას ვინ ჩივა, აწი მაინც რომ ეღირსებოდენ ეს საბრალონი და სამინისტროს სკოლის მასწავლებლებთან გათანასწორებული იქნებოდენ მაინც. ამასაც დიდი ბედნიერებათ ჩავთვლიდით.

დე—ზი.

აზარაპი საწირე.

მართალია საწირეში არსებობს ორკლასიანი სამინისტრო სკოლა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბავშები ორი წლის სიარულის შემდეგ სწავლას თავს ანებებენ და საოჯახო საქმეში გართული წიგნს ხელშიც აღარ იღებენ შემდეგ, ადვილათ წარმოიდგენს კაცი მათ გონებრივ ავლა-დიდებას. აქ იშვიათად შეხვდებით წერა-კითხვის მცოდნეს. ასეთ უკულტურობას ბევრი დაბრკოლება და არა სასიამოვნო საქმე მოყვება ხოლმე. საწუხაროა ის, რომ არცერთ აქაურ მცხოვრებს არ სწადია საზოგადოება რაიმე სარგებლობა მოუტანოს; მისი მოთხოვნილება და მისწრაფება საკუთარ ჯიბეს და კუჭს არ სცილდება. ასეთი გაუვებრობა განსაცვიფრებელია აქ, რადგანაც საწირე არ არის ისეთი ყრუ კუთხე, როგორიც არის სხვა ზოგიერთი სოფელი. ოკრიბის მხარეში საწირეს პირველი სავაჭრო ადგილი უჭირავს; მასთან ყველაფრამდის მორთულია: კარგი გზები, სადგური იქვე, რითაც დიდათ სარგებლობენ გლეხები. მათ არ ჭირდებათ შორს წასვლა რისამე გასაყიდათ, ან საყიდლათ, რადგანაც აქვე არიან დუქნებიც. მიუხედავათ ამისა, როგორც ზევით ვსთქვით, აქაური გლეხობა ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებას მოკლებული არიან და არც ვინმე გამოდის ისეთი პირი, რომ ამ დაწესებულების დაარსებაზე გლეხებს მეთაურობა გაუწიოს.

ჩემის აზრით, პირველათ ასეთ საქმეს ყურადღებას უნდა აქცევდენ ადგილობრივი მასწავლებლები და ხელს უნდა უწყობდენ საზოგადოების გამოფხიზლებას; მასწავლებელი, როგორც სოფლის სული და გული მარტო თავისი პროფესიითა და ჯამაგირის აღებით არ უნდა კმაყოფილდებოდეს. თავისი სამოქმედო ასპარეზი ხალხშიც უნდა გადაიტანოს და მისი ჭირითა და ლხინით ეზიაროს. მხოლოდ ასეთ მასწავლებელს შეუძლია დაიმსახუროს ხალხის სიმპატია და თანაგრძნობა. მასწავლებლის ნაყოფიერ მოქმედებას სოფელში ერთხელაც იქნება ანგარიშს გაუწევს მოწინავე საზოგადოება და შესაფერისათაც დააჯილდოებს ხალხის ერთგულ მუშაკთ.

იმედია, ადგილობრივი მასწავლებლები აწ მაინც სერიოზულათ შეხედვენ თავის მოვალეობას და თავისი ენერგიული და ნაყოფიერი შრომით სოფლის დაბეჩავებული ხალხის გამოფხიზლებას ერთგულათ შეუდგებიან.

მეთვალყურე.

დაბა-სოფლები.

სოფ. **ჯვარი** (ზემო იმერეთი)· ეს სოფელი მდებარეობს ქიათურა-საჩხერიდან 30 ვერსის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ სოფლით თავდება იმერეთი და აქიდან იწყება ქართლის საზღვრები. ამ სოფელში მოსახლეობენ 30-35 კომლამდი, აქვთ ცალკე ეკლესია და არიან მიწერილი სოფელ ჩრონთოს შტატის ეკლესიაზე. ეს ორივე სოფელი არის გაშენებული მდინარე ძირულის ორთავ ნაპირზე და სოფ. ჯვარს უკავია აღმოსავლეთის ნაწილი. ორივე ამ სოფლის მცხოვრებნი არიან გადმოსახლებულნი საჩხერე-ქიათურის მხრის ახლო მახლო სოფლებიდან ამ 30-40 წლის წინათ, ვინაიდან აქ უხვათ იშოვებოდა ტყე და საბალახო, რადგანაც მდინარე ძირულის ნაპირების მცირეოდენ ჭალების გარდა, ამ სოფლების მდებარეობა მთაგორიანია. ეჭვი არ არის, როგორც მოსწრენიც გადმოგვცემენ, რომ აქ ცხოვრება ამ ოცი წლის წინათ მეტად იოლი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ახალ გატეხილი ადგილები მაშინ ჭირნახულის უხვი მომცემი უნდა ყოფილიყო, შეშა და საბალახე ხომ თავზე საყრელი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ამ ჟამად აქაურების ცხოვრება დიდი სახარბიელო აღარაა. ახალმა გადმოსახლებულებმა უთავბოლოთ დაუწყეს ხე-ტყეს ჩეხა და სახნავათ გადაქცევა, ახალ ახოებს სინოყივრე ჩქარა გამოელია და ახლა მხოლოდ საბალახოთ თუ გამოდგება, თორემ სხვათ არაფრათ.

საბალახოები ორთავე ამ სოფლისა კი სწორეთ რომ საუცხოვოა. აქაური საბალახოები, ჩემის ფიქრით, თუ არ აჯობებს, არასფრით არ ჩამოუვარდება ალპიის და კარპატის მთების საბალახოებს და აქ მშვენივრათ შეიძლება მესაქონლობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება, რომ ჩვენს ხალხს ამისი შნო და უნარი ჰქონდეს... და განა ამ მხარეში მარტო ეს საბალახოა?.. რიბისა და ხიხათა, (ქალის მთის კალთებზედ), რიკო-კორტოხი, დოდორის და ლიხის სერები, ბერეთისის და ულევის საბალახოები დიდ განძს შეადგენენ, რომ მათი გამოყენება შეგვეძლოს; მაშინ, ვინ იცის, რამდენი მილიონი ოქრო დატრიალდებოდა ჩვენს ხალხში და დოვლათს შეგვძენდა?.. სოფელი ჩრონთის და ჯვრიელების მცხოვრებლებმა მგონი ჯერეთ არც კი იციან, თუ რა არის რაციონალური მესაქონლეობა; ერბო და კარაქზე ხომ წარმოდგენაც არა აქვთ და რაღა გასაკვირალია, რომ მყიდველები ჩვენს მამულში მოწეულ ერბოკარაქს ნემცების კოლონისტების და ვიღაც ჩიჩკინის სახელით უფრო იცნობენ...

სოფელი ჯვარი საზღვრავს ორს უდიდებულეს მთას: სამხრეთ აღმოსავლეთით აგრე წოდებული „საფალავანდიშვილო“-ს, ხოლო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით „ქალის მთა“ ა „საბაშიო“-თ წოდებულს. დიდებული რამ სურათი იშლება ადამიანის თვალ წინ, როდესაც სოფ. ჯვრის მაღლობიდან დაჰყურებ ამ ორ მთას, რომლის ბადალიც, ჩემის ფიქრით, იმერეთსა და ქართლში მეორე არ მოიძებნება. პირველი ეკუთნის ქართლის მემამულეთ თავად ფალავანდიშვილებს, მეორე კი იმერეთის სოფელ ჭალის 60 მეკომურ აზნაურ აბაშიძეებს; (52 ათასი დესიატინაა ზომით) მეპატრონე აბაშიძეებმა დაუწყეს გაუყოფლათ თავის მონაწილეობას გაყიდვა, რითაც თითქმის ათასზე მეტი მონაყიდე შეიყვანეს ამ დიდებულ მთაში გასანიავ-გასაქარწყლებლათ. თავად ფალავანდიშვილებმა ამ წლამდის ვერ მოახერხეს თავისი მთის გაყოფა, მაგრამ ახლა კი გაუნაწილებიათ და, როგორც გადმომცეს. რამოდენიმე მათგანს თავისი ნაწილი იჯარით უკვე მიუციათ მოსაჭრელათ ვიღაც კაპიტალისტ ურიისათვის, რომელსაც ამ ჟამად გახურებული მუშაობა აქვს გაჩაღებული თურმე ამ მთის შუაგულ ნაწილში. უყურებ ამ დიდებულ მთებს და ფიქრობ: ნეტავი რამდენ სიმდიდრეს შესძენდა ეს დიდებული მამული მეპატრონეთ, რომ მისი გამოყენება შესძლებოდათ?..

საფალავანდიშვილო მთიდან ყოველ წლობით გადის რამოდენიმე ათასი ფუთი ჯონჯოლი კავკასიის სხვა და სხვა ქალაქში, რომლის ფასიდანაც მეპატრონეებს რჩებათ მხოლოდ ასი-ორასი მანეთი, ისიც არენდის სახით, დანარჩენი კი ჩადის სომეხ ფოდრაჩიკების ჯიბეებში, რომლებიც ყოველ წლიური სტუმრები არიან ამ მხრისა და კარგათაც გაუცვნიათ გემო ჯონჯოლში აღებული ფულისა.

ამავე სოფლებში შეიძლებოდა აგრეთვე მეფუტკრეობის მშვენიერ ნიადაგზე დაყენებაც, რადგან აქაური ჰავა და მდიდარი ბუნება ამას ყოველის მხრივ ხელს უწყობს, მაგრამ 1-2 ოჯახის მეტმა (ისიც ზერელეთ) მგონი არც კი იცის, თუ რა არის ჩარჩოიან სკებში ფუტკრების ყოლა; დანარჩენი კი ყოველ წლობით ათასობით აქრობენ ფუტკრით სავსე გეჯებს წყლით და მხოლოდ სანაშენოთ ცოტა რამეს იტოვებენ და ამით დიდს ნივთიერ ზარალს აძლევენ თავის თავს.

ნეტავი როდის მოვესწრებით, რომ ჩვენმა ხალხმა შეიძლოს თავისს მდიდარი მამულის ჯეროვნათ გამოყენება და სიღარიბეს თავი დააღწიოს?..

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.
სოფ. კორბოული.

ბორჯომის სამრევლო სკოლა.

ზემოხსენებული სკოლა მთელ ბორჯომში ერთად ერთ ოაზისს წარმოადგენს, სადაც სწავლა სამშობლო ენაზე სწარმოებს და მოწაფეთა აღზრდა-განვითარება სასურველ ნიადაგზე არის დაყენებული. სხვა აქაურ სკოლებში, სადაც ქართველ მოწაფეთა რიცხვი 80—90% უდრის, ქართულის ჰაჰანებიც არ არის, რაც ჩვენს გულგრილობასა და დაუდევრობას უნდა მივაწეროთ. ვინც ბორჯომის საზოგადოებასა და მის კაკარდოსან „ინტელიგენციას“ იცნობს, იგი ამაში სრულიად დამეთანხმება.

შვიდი წელიწადია, რაც აქ სამრევლო სკოლა არსებობს, წინად, უხეირო მასწავლებლის წყალობით ამ სკოლას ხალხის თვალში არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და ყველასაგან აბუჩად იყო აგდებული. მაგრამ, საბედნიეროთ, სკოლის ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა: უხეირო მასწავლებელი მალე დაითხოვეს და სამაგიეროდ დანიშნეს შრომის მოყვარე და მუყაითი ახალგაზდა, ბ. გერმანიშვილი, რომელსაც კარგად ესმის თავისი წმიდა მოვალეობა და გულწრფელადაც ასრულებს. დღეს, რიგიან მასწავლებლის წყალობით, ამ სკოლამ დიდი სახელი მოიხვეჭა ხალხის თვალში და შესაფერ სიმაღლეზე დგას. ქართული ენის სწავლების საქმე სასურველად მიმდინარეობს და ბავშებიც საკმაოდ განვითარებული არიან, არავითარ მუნჯურსა და ან სხვა რაიმე გონების გამოსალაყებელ მეთოდს აქ ადგილი არა აქვს. წინად თუ ხალხი, უვარგისი მასწავლებლის წყალობით, ამ სკოლას გაურბოდა, დღეს სამაგიეროდ სხვებს გაურბის და აქ მოჰყავს ბავშები სასწავლებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, უადგილობისა გამო, ბევრი ბავში მშობლიურ სკოლის გარეშე რჩება, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. აუცილებლად საჭიროა, რომ ეს სკოლა ეკენისთვიდანვე ორ კომპლექტიანად გადაკეთდეს. იმედია, სკოლის გამგე გ. იაკინთე გორგაძე, როგორც ყოველთვის, ახლაც სიამოვნებით მიეგებება საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეს და სკოლას გააფართოვებს, რომელიც მისივე შრომითა და მეცადინეობით არის დაარსებული.

სულ სამი წელიწადია, რაც ბ. გერმანიშვილი ზემოხსენებულ სკოლაში მასწავლებლობს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთა სკოლის სასარგებლოთ. უმთავრესად აღსანიშნავია ის, რომ მან თავის მოწაფეთაგან დაარსა **ბორჯომის სამრევლო სკოლის მომღერალ-მგალობელთა გუნდი.** უნდა ნახოთ, რა მშვენივრად, ტკბილად და ხმაშეწყობილათ გალობენ ეს პაწაწა მოწაფეები სხვა და სხვა საეკლესიო და სახალხო სიმღერებს, რომ დარწმუნდეთ, თუ რა დიდი საქმის გაკეთება შეუძლია შრომის მოყვარე „პატარა“ სახ. მასწავლებელს.

აკაკის საღამოზე ამ პატარა მოწაფეებმა თუთხმეტამდე სხვა და სხვა სიმღერა შეასრულეს თავისი მასწავლებლის ლოტბარობით, რითაც საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანეს. აქვე ერთმა მოწაფემ „გოგონა“-ზე ისე მშვენივრად და მოხდენილად ითამაშა სცენაზე, რომ დამსწრენი გააკვირვა; ერთმა დამსწრე აფიცერმა მოცეკვავე გოგონა ხუთი მანეთით დაასაჩუქრა და გუნდსაც თუმანი აჩუქა. 7 თიბათვესაც წარმოდგენის დროს დივერტისმენტზე ამ გუნდმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა და „გოგონაზეც“ ითამაშეს.

ვუსურვოთ წარმატება და მხნეობა ამ პატარა მომღერლებს, რომ კეთილი და სამშობლო ქვეყნის მოყვარე ადამიანებათ აღზრდილიყვნენ! მათს მასწავლებელს კი — დიდი მადლობა.

Magister.

პასუხი ჩემის კორესპონდენტს—მაყურებელს.

რომ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შევიდეს, იძულებული ვარ პასუხი გავცე ბ. მაყურებელს, რომელმაც კორესპონდენცია მოათავსა გაზ. სამშობლოში სოფ. წევიდან. ბ მაყურებელი კარგათ ვერ დაკვირვებია წევის ავ-კარგს, თორემ გაიგებდა, რომ სამკითხველოს გამგე მე არა ვარ, და მან თუ დამნიშნა ახლა, არ ვიცი. ჟურნალ გაზეთები მოგვდის ერთს ბ. გორის ექიმი ნ. გ—ძე გზავნის. როცა ეს კორესპონდენცია წაიკითხა ექიმმა ნ. გ.—ძემ გორშიმეც მასთან ვიყავი, ეწყინა და მკითხა „ახალი ქართლი მოგდისთ თუ არაო? მე როგორ შემიძლია ვსთქვა არათქო როცა მოდის.

ეხება შკოლას. მე მიკვირს 18 წლის ნამსახური ვარ მასწავლებლათ და არავის ჩემი მოღვაწეობა არ დაუწუნებია და ყოველთვის პირნათლათ ვასრულებდი ჩემს მოვალეობას. უთუოთ იმიტომაა გაწიწმატებული, რატომ ვლ. ჯუღელის ადგილზე არ დანიშნეს იგი ჩემს შკოლაში. ეგ ხომ ჩემი საქმე არ არის და არც მკითხვენ. მასთან, ვინც ჯ—ლის წინ იყო მასწავლებელი, არ ვიცი რით არ მოსწონდა ბ. მაყურებელს, როცა იგი გულწრფელათ ასრულებდა თავის მოვალეობას და მუყაითიც იყო ბავშების სწავლის საქმეში

ა. გაჩეჩილაძე.

აჭარლების დახმარება.

კნეინა სოფიო ნიკოლოზის ასულმა მიქელაძისამ გადმომცა აჭარლების სასარგებლოთ 25 მან.

იმათივე სასარგებლოთ მივიღე ერთის მოწაფისაგან, ერთს ოჯახში შეკრეფილი 3 მან. 50 კ. (სახელების გამომჟღავნება არ მოისურვეს).

ქართულ საქველ. საზოგ. ქუთაისის განყოფ. გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

ხაზინ. გ. გვედესიანი.

შემოწირულება.

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ სეირნობა-ალეგრისათვის ქ-ნმა სოფიო ბოკერიასამ მოაგროვა შემდეგი ნივთები:

ვერა ბოკერიასაგან—სურათების ალბომი.

სონია კორძაიას ასულისგან—მოქარგული ბალიშის პირი.

პაშა ბადრიძისაგან—პირსახოცი, ეკატერინე ხონელის ასულისაგან—მოქარგული სალფეტკა, ნინო ბოკერიასაგან—6 ჩაის სალფეტკი, პელაგია გუგუშვილისაგან—ალბომი, ნინო ბოკერიას ასულისაგან—2 ყვავილის ვაზა, ეკატერინე ბოკერიასაგან—სურა თავისი დასადგმელით.

ნინა ბოკერიას მეუღლისაგან—შუშის შანდალი (ეიფელის კოშკი) და პირსახოცის არშია, სოფიო მიხეილის ასულის ბოკერიასაგან ფულათ 3 მან. თავ. დავით ბაგრატიონისაგან - 2 მან. 40 კაპ. ბარბალე ივანეს ასულის კვირკველიასაგან ორი ვაზა, ერთი ფლაკონი, 1 ჭიქა და ფოდნოსი, ფედოსია ჯაყელისაგან—ორი ვაზა, ნინო ბადრიძისაგან—წყვილი ვაზა, დათა ჭილაძისაგან—მოქარგული ნემსის ბალიში, სასონიკა ჭილაძისაგან—ბროშკა შეიდან, ჭილაძისაგან—ყვავილის ვაზა.

ჩვენი ფოსტა.

ნიკო ქამუშაძეს: სიამოვნებით დავბეჭდავთ, გამოგზავნეთ.

„საქართველოს“ რედაქციას.

გთხოვთ ფოსტით ნუღარ გზავნით გაზეთებს, რადგანაც კვიტაიძედან ვღებულობთ.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა
„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.
იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „ქამზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.